№ 41—1916 ფასი 12 კაპ.
კვირა, 9 ღვინობის.

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“
წლიურად 5 მ., ნახევარი წლით 3 მ. გაწერა შეიძლება ფოსტით: Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“ Іос. Имедашвили. პირისპირ: „სორაპნი-“ს სტამბა ში.

წელ. მეოთხე გამოცემისა

ქუთაისის თეატრი

ა. იმედაშვილი (რეჟისორი) ს. ბეჟანიშვილი ეფ. მესხი ნ. ჩხეიძე ო. ლოლობერიძე ა. ყალაბეგიშვილი

პ. კორიშელი ა. მურუსიძე მ. მდივანი ზ. გომელაური ბ. ახოსპირელი

ღვინოგბისთვის 9

ჯერ კიდევ ჰყუჩობენ ხომ გინახავთ წყლის მიმდინარეობას მოწყვეტილი გუბე, შესართავ-გაჩოსავალი რომ დახვშია და სადღაც დაბლობში უძრავად სდგას?! —

სწორედ ასეთ გუბეს მოგაგონებთ „ბილისის ქართული თეატრი.

მართალია, თბილისში ფეხი მოიკიდა სახალხო თეატრმა და, მის მეთაურთა სასახლოდ, იგი ბეჯიდათ უმასპინძლდება (თუმცა ცალმხრივად) ქართველ მშრომელ ხალხს. მაგრამ განა მარტო ესა კმარა!

სრულიად მიტოვებულია მშობლიურ სასცენო ხელოვნებას მოწყურებულ ქართველი ფართე საზოგადოებისა და მოწაფეთა სულიერი მოთხოვნილება.

თბილისის ქართული დრამატიული დასი მხოლოდ ფიქციაა, ცრუ მოჩენება: და თუ არის რამე, ჯერ-ჯერობით კლუბთა სცენების ერთი ნაწილთაგანი, დრომოკმული რეპერტუარით.

წინადაც თითქმის ხშირად ყოფილა ასე: სხვანი რომ აღოს გამოიყვანდენ, ქართული თეატრის მესვეურნი მხოლოდ მაშინ შეაბამდენ გუთანს, მაგრამ ამდენად მიყურისძირებელი კი არ გვინახავს ჩვენი სცენა.

მართალია, აწინდელი ომიანობის გამო ყოველივე აირ-დაირია, სათეატრო საქმის ზოგიერთი მესვეურნი აქშეულ ფრინველთა ჰგვანან—აცა, როდის გაგვაფრენენო, მაგრამ ნუ თუ ამის გამო ყოველივეზე ხელი უნდა ავიღოთ, ვიყუჩოთ და ვიძინოთ?!

გამგეობის წევრნი თუ ვეღარ **საქმობენ**, იმდენი მოწყალება მაინც მოიღონ, რომ საზოგადო კრება მოიწვიონ, საქმის გასაცოცხლებლად, ანუ, თუ ახლა ესეც მოუხერხებელია, ჩვენს სათეატრო საქმეს (ამ ჟამად ანტრეპრიზას) ერთი რიგიანი, გამოცდილი, მუდმივი და პასუხისმგებელი გულშემატკივარი მაინც მიუჩინონ.

სასურველია ასეთი პირი საზოგადო ნდობით იყოს აღჭურვილი და ჯამაგირიც საზოგადოებისგან ეძლეოდეს, თორემ მუქთი მუშა ბარაქას ვერ დააყრის.

თბილისის ქართულ თეატრს ჭეშმარიტი გულშემატკივარი ეჭირვება და არა მხოლოდ კარიერა-რეკლამის მოყვარული...

ნინო ორბელიანის ლექსი

ვუძღვნი განდეგილს

გაწყდა სიმი ჩემი ჩანგის ელერისა,
მით ხალისი დამეკარგა წერისა,
დრომ წყეულმა, რაც მალხენდა—წაიღო,
სიხარულმაც ჩემზედ ხელი აიღო.

—

აწ რა მინდა მარტო ამ ქვეყანაში,
ორპირს, ორგულს დროსა ამ ვერანაში?
რომ მოკვდები მაშინ დაიკვნესებენ,—
ცოცხალს მტანჯვენ, მკვდარსა მომილექსებენ..

—

შენ მოგითხრობ ჩემი ბედის ჩივილსა,
შენ მიხვდები მწარე გულის ტკივილსა:
პოეტი ხარ, სევდა გაიზიარე,
მომაკვლავი ნუგეშით მაზიარე!..

1916—22 სექტემბერი **ნინო ორბელიანი**

წინ

(ნადსონისებური)

წინ! დაივიწყე შენი ტანჯვები,
ნუ შეუდრკები ელვა-ქუხილსა;
იბრძოდე, რათა მიეცეს ძლევა
ცისკარს, წყვდიადში გამოჩენილსა;
იშრომე, სანამ ძალღონე გერჩის,
იმედს გულში არ განიქარვებდე,
მეცნიერების და სინათლისთვის
უმწიკვლო სანათს წინ იმძღვარებდე.
დაე, ზიზღსა დაღითა გაოსდნენ
და გაცხარებით ბრბოს საყვედური,
განჩინებული მოუფიქრებლად,
ირგვლივ გესმოდეს შენ უგუნური,
მაინც წინ წადი ეკლიან გზითა
და ნუ იქნები შეშინებული;
დაე, ცხოვრების მძაფრსა ქარიშხალს
პირდაპირ შეხვდეს ეგ შენი გული.
გამოაღვიძე ღრმად მძინარენი,
დაცემულთ ხელსა გაუწოდებდე
და დიდებული ჭეშმარიტების
სხივოსან სიტყვას ბრბოს უმოძღვრებდე!..

ი. ფერაძე

ბილისის ქართული თეატრ

ბილისის ქართული თეატრ
ბ ბ ბ

სოფლის დაკვირვებიდან

დედამიწის არსებობა რამდენიმე მილიონი წლებით მაინც გაიზომება და როდის მოეღება მის არსებობას ბოლო, ამისი დაახლოებით გამოკვლევაც კი შეუძლებელია. მთელს სამყაროში დედამიწა შეუმჩნეველი ნამცეცია და, ერთ მშვენიერ დღეს სრულებით რომ მოისპოს და მტვრად განიბნეს, სამყაროს არა დააკლდებარა.

სამყაროს დასაბამი და დასასრული ჩვენთვის წარმოუდგენელია, სივრცე განუზომელი, დრო დაუშრეტელი დაუსრულებელი.

მთელს მარადისობაში მხოლოდ ერთხელ მოვევლინებით სამყაროს, შეიძლება ვიცოცხლოთ რამდენიმე ათეული წელიწადი. დაუსრულებელთან შედარებით ეს ხომ „წამია კაცთა თვალისა და წამწამისა მსწრაფელი". შემდეგ დავხუჭავთ თვალებს და გავქრებით, მარადისობა გადაგვყლაპავ. ყოველივე იქნება, ჩვენ კი აღარასოდეს აღარ ვიქნებით, არც ერთი ჩვენთაგანი აღარ გამეორდება.

იყო და არა იყორა! აი ადამიანის სიცოცხლე.

ჭეშმარიტად ყოველივე ამაოა! ამოოხრებს ადამიანი, როდესაც ყოველივე ამას გაითვალისწინებს, წარმოიდგენს,—სიცოცხლე ჩირად არა ღირსო.

არა და არა! შემცდარია ასეთი ადამიანი. ყოველივე ამაოება არ არის და სიცოცხლე უდიდესი განძი, უდიდესი ნეტარებაა.

რა უყოთ რომ ის მოკლეა, წარმავალი! მიუხედავათ ამისა ის მაინც დიდი სიკეთეა და უმჯობესია, ადამიანი დაიბადოს და მხოლოდ ერთი წელიწადი იცხოვროს დედამიწაზე, ვიდრე სულ არ დაიბადოს.

ღირს თუ არა სიცოცხლე იმ დ, რომ მისი გახანგრძლივებისათვის ადამიანმა იზრუნოს?

რასაკვირველია ღირს.

სიცოცხლე თავის თავათაც დიდი ნეტარებაა და ადამიანმა მისი გაგრძელებისათვის უნდა იზრუნოს.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველი ჩვენგანის სიცოცხლე უმეტეს შემთხვევაში სხვებისათვის არის საჭირო ან როგორც საანი სიყვარულისა, ან როგორც საგანი მოვლა-პატრონობისა და რჩენისა, ან როგორც საგანი სარგებლობისა (როცა ადამიანს სარგებლობა მოაქვს ამა თუ იმ საქმისათვის, სოფლისათვ ს, ქალაქისათვის ან ქვეყნისა და კაცობრიობისათვი). ამიტომ ადამიანი ვალდებულია ეცადოს, რაც შეიძლება მეტხანს შეინარჩუნოს სიცოცხლე.

ადამიანი მრავალის მხრით უცნობი არსებაა; თვით სიცოცხლე რა არის, ჩვენ ესეც კი არ ვიცით. ერთი რამ გამორკვეულია:

სიცოცხლე დაკავშირებულია სხეულთან და მისი დღეგრძელობა დამოკიდებულია სხეულის ჯანმრთელობაზედ.

ვისი სხეულიც უფრო ჯანმრთელია და დიდხანსა სძლებს, ის მეტხანსაც სცოცხლობს.

რა უნდა ვქნათ, რომ ჩვენი სხეული დიდხანს იყოს ჯანმრთელი?

განყენებული მსჯელობა აქ ჩვენ ფონს ვერ გაგვაყვანს, უმჯობესია, თვით ცხოვრებას მივმართოთ.

ავიღოთ ქალაქი და სოფელი.

ქალაქში თქვენ იშვიათათ შეხვდებით ასი წლის მოხუცს; სოფელში კი შედარებით მეტია. ის სოფელი, სადაც მე ვცხოვრობ, დიდი არ არის; მიუხედავათ ამისა აქ არიან მოხუცები ას-ექვსი წლის, ასი წლის, ოთხოცდა ათი წლისა ხომ საკმაოდ ბევრი. უმეტესი მათგანი ყანაში მუშაობს, ზოგს შორეული მთიდან ურმით შეშა მოაქვს; სმენა, მხედველობა, მეხსიერება და საერთოდ აზროვნება ყველას სამაგალითო აქვს.

ქალაქ ადგილას ბევრია მდიდარი, მაგრამ ღრმა მოხუცს ვერ შეხვდებით საზოგადოთ, როცა უფრო მდიდარია ადამიანი, უმეტეს შემთხვევაში უფრო ხანმოკლეა მისი სიცოცხლე.

ქალაქ ადგილას ბევრსა ნახავთ ისეთს, რომელსაც არავითარი ჯაფა არ ადგია; მაგრამ ასეთ პირებში ცოტასა ჰპოებთ საკმაოთ მოხუცს; რაც უფრო უსაქმურია ადამიანი, მით უფრო ცოტას ცოცხლობს.

ქალაქ ადგილას ბევრია ისეთი, რომელსაც სასმელ-საჭმელი თავზე საყრელი აქვს;

მიუხედავათ ამისა ღრმა მოხუცებულობის კარამდე მისვლა ამათში მეტათ იშვიათი მოვლენაა; რაც უფრო ბევრსა სვამს და სჭამს ადამიანი, მით უფრო ცოტასა ცოცხლობს.

სამაგიეროთ ქალაქ ადგილას ძალიან ბევრია ისეთი, რომელიც ღარიბია, ნახევარჯერ მშიერი, დღე და ღამე შრომობს და მიუხედავათ ამისა, მაინც ცოტასა ცოცხლობს. ასეთია მუშებისა და წვრილი ხელოსნების უმრავლესობა.

სიმდიდრე, ფუფუნება, ბევრი სასმელ საჭმელი, რაც ხელს უწყობს ადამიანის სიცოცხლის შემოკლებას, ამათ არა აქვთ მაშ რატომ არა აქვთ გრძელი დღე?

ესენი მუშაობენ დახშულ ჰაერში, მოკლებული არიან მზეს და დრო და დრო სხეულის დასვენებას.

აი, სწორეთ ეს გარემოება იწვევს მათ დასნეულებას და სიცოცხლის შემოკლებას.

ყოველივე ამას უფრო ნათლათ გავითვალისწინებთ, თუ ისევ სოფელს მივმართავთ.

სოფლის ადამიანი, ინათებს თუ არა, ზეზეა და მთელი დღე ჰაერზე მუშაობს. სოფლის ჰაერი სუფთაა, მასში ნაკლებათ არიან ადამიანის დამასნეულებელი ბაცილები, სამაგიეროთ ბლომათ არის ჰაერის ის ნაწილები, რომლებიც ადამიანის სისხლს აახლებენ და ახალისებენ.

სოფლის ადამიანი მთელი დღე მზეზე მუშაობს და კანი მზისაგან გარუჯული აქვს, იმის ხორცსა და კანში საკმაოთ ჩადის მზის სხივები.

ჩავა თუ არა მზე, სოფლის ადამიანი შესწყვეტავს მუშაობას, ივახშმებს და იძინებს. სოფლის მუშა მზესთან ერთად იღვიძებს, მზესთან ერთად იძინებს, იმის მუშაობას მთელი დღე მზე დაჩერებია და აქ თქვენ ვერ ნახავთ ქალაქის მახინჯ მოვლენას, ადამიანს რომ დღე ღამეთ გაუხდია და ღამე კი დღეთ.

სამუშაო დღის განმავლობაში სოფლის ადამიანი ორჯერ მაინც ასვენებს სხეულს, მუშაობასაც ხომ თავისი ალო გააჩნია. ალოსა და ალოს შუა სოფლის ადამიანს უფრო მჩატე საქმე აქვს და ზამთარში, რაკი წლის სარჩოს შემოიტანს, შრომით აღარ იქანცება თუნდა იმიტომაც რომ ზამთარში სამუშაო დღე მოკლეა. სოფლის მუშა მუშაობის დროს თუ იქანცება, სამაგიეროთ მისი სხეული მზის სხივებში და სუფთა ჰაერში ბანაობს და მაგრდება.

ყანაში, ვენახში, სათიბში ან ტყეში მუშაობა ნერვებს არა თუ აუშლის ადამიანს, არამედ უწყნარებს, უმაგრებს კიდეც და ამის გამო სოფლის მუშა ჯანმრთელია.

ავიღოთ ახლა სასმელ-საჭმელი.

ქალაქ ადგილას საკმაო შეძლების ადამიანისთვის უმთავრეს საზრდოს წარმოადგენს საქონლის ხორცი. საქონლის ხორცი-კი მავნებელია ადამიანის მთელი სხეულისათვის და განსაკუთრებით-კი თირკმელების, ღვიძლის, გულისა და სისხლის მილებისათვის.

ქალაქში საშუალო შეძლების ადამიანისათვის ხელმისაწვდომია სხვა და სხვა მაგარი სასმელები: არაყი (ოტკა). კონიაკი, შამპანიური და სხვა სპირტით შეზავებული ტკბილი სასმელები, რომელთა ხანგრძლივათ ხმარება ადამიანისათვის საწამლავია.

სოფელში შეძლებულ ადამიანისთვისაც საქონლის ხორცი იშვიათი საშოვარია. ჩვეულებრივი ქონების ადამიანისათვის სოფლათ უმთავრეს საზრდოს წარმოადგენს მცენარეული საჭმელი: ლობიო, მუხუდო, ცერცვი, მხალეულობა, მწვანილი, ხილი, ძროხეული, ხან და ხან ქათამი, ბატი, იხვი, ინდოური ე. ი. შინაური ფრინველი და ზოგჯერ-კი საქონლის, ცხვრის და თხის ან ღორის ხორცი.

უმეტეს ნაწილათ სოფლის ხალხი მცენარეულობით იკვებება.

ქალაქ ადგილას საშუალო შეძლების ადამიანი დღეში ორჯერ მაინც გაძღება. ისიც ხორცეულით.

სოფლის ხალხმა ძალზე გაძღომა იცის მხოლოდ დღესასწაულზე, ქორწილში. ამრიგათ წელიწადში მხოლოდ რამდენჯერმე შეხვდება გაძღომა, დანარჩენ დროს-კი ძალზე გამაძღარი ის სუფრიდან არ ადგება, რადგანაც ძალზე საძღომი საზრდო მას არა აქვს.

კიდეც რომ ზედმეტი სჭამოს, ის სჭამს უმეტესად მცენარეულს.

ქალაქის ადამიანი, თუ მას ცოტა ქონებაც ხელს უწყობს, მუცელს აღორებს, რადგანაც ყოველივე მუცლის საღორებელი ქალაქში იშოვება.

სოფლის ადამიანი კი მუცელს აქორებს, რადგანაც მუცლის საღორებელი არც მოიპოვება სოფლათ ხშირათ და არც მიუწვდება სოფლის მცხოვრებს ხელი.

ქალაქში ხშირად ნახავთ ისეთ ადამიანს, რომელიც ნამეტანი სმა ჭამისაგან ისე გასუქებულა, რომ მუცელს ძლივს დაათრევს.

სოფლათ ასეთი ადამიანი იშვიათი მოვლენაა

სხვა და სხვა კუთხე საქართველოსი მომივლია ყველგან გავცნობივარ სოფლის ხალხს, მაგრამ ... ე ჩასუქებული და დიდ მუცლიანი სოფლის მუშა არსად მინახავს.

რითი აიხსნება ასეთი მოვლენა?

მხოლოდ იმ გარემოებით, რომ სოფლ ს მუშა საზრდოობს მცენარეულობით, ძალზე არა ძღება და მუდამ მოძრაობს.

ბევრს ქონი ჯანსაღობის ნიშანი ჰგონია, ქონი სრულებით უვარგისი ნაწილია ადამიანის სხეულისა და, როდესაც ის ბლომათა გროვდება, მავნებელია. ზედმეტ მსუქანი ადამიანი რა ახოვანიც უნდა იყოს, უზარმაზარსა და შიგნით დაფუტურებულ ხეს წაგავს. ასეთი ადამიანი რა კარგ პირობებშიაც უნდა ჩააყენოთ, ღრმა სიბერეს ვერ ეღირსება მისი ჩვეულებრივი ბოლო უმეტეს შემთხვევაში დამბლა ან სწრაფი სიკვდილი გულის სიმსუქნე.სიგანივრისა გამო.

ქალაქათ ადამიანი, რომელიც თვისი შრომითა სცხოვრობს, იმდენათ არის დატვირთული საქმით, რომ პურის ჭამისათვის მას დრო აღარა რჩება, ის სცდილობს, რაც შეიძლება ნაკლები დრო მოანდომოს ჭამას, და ამიტომ ან ჭამის დროსაც საქმობს ან ჩქარა სჭამს.

სოფლის ადამიანი ამ მხრივ ბრძენია; მისთვის პურის ჭამა იგივე საქმეა და არასოდეს პურის ჭამის დროს ის არ აჩქარდება და, სანამ კარგათ არ დაღეჭავს ლუკმას და არ დაალბობს ნერწყვით, არ გადაჰყლაპავს. რაც უნდა დიდი საქმე ჰქონდეს მას და რა გინდ მცირე იყოს მისი სადილი, ის მაინც აუჩქარებლათ, შესვენებით და გემოიანათ შეექცევა მას.

ადამიანის ჯანმრთელობისათვის მხოლოდ ამგვარი პურის ჭამა არის შესარგო და მარგებელი.

სხვა და სხვა მაგარი სასმელები—ქალაქის კუთვნილება—სოფელ შიარ მოიპოება. სოფლათ ხანდახან არის არაყი (ოტკა), რომელსაც ისე იშვიათათ ხმარობს ჩვენი ხალხი რომ მხედველობაში არაკია მისაღები.

სულ ცოტაც რომ სვათ არაყი (ოტკა), მაგრამ სვათ ნიადაგ, თუ გინდა საწამლავი გასვამთ,—ჯანმრთელობას ბოლოს მოუღებთ. წელიწადში რომ რამდენჯერმე შეხვდეს ადამიანს მისი ზომიერათ დალევა, სხეული მის მავნებლობას გაუძლებს.

ჩვენი ხალხის ჩვეულებრივ სასმელს შეადგენს ღვინო. ზომიერათ სმა მსუბუქი ბუნებრივი ღვინოსი მაზარალებელი არ არის.

სოფლის მუშას ორობა შეხვდება დღესასწაულებზე, ქორწილში, ნათლობაზე წელიწადში რამდენჯერმე.

უმეტეს შემთხვევაში კი ის სვამს ზომიერათ. ამიტომ იქ, საცა ღვინო ბევრი მოდის და მაგარია, ღრმა მოხუცებულები ცოტაა,—მაგალითად კახეთში. ზემო იმერეთში, რაჭაში, სვანეთში, სადაც ღვინო ან სულ არ მოდ ს ან ცოტა და მჩატე, ას წლოვან მოხუცებს საკმაოთ ნახა თ.

მივმართავ ისევ მაგალითებს.

ჩემი სოფელია ზემო იმერეთში. მაღალი ადგილია. გარშემო ტყეთ შემოსილი მთები აკრავს, მოდის თხელი ღვინო. სიმინდი, პური. ხალხი იკვებება მცენარეულობით (ჭადი და ლობიო), სვამს წყალნარევ ღვინოს. რადგანაც იმდენი არ მოდის, რომ წლიდან წლამდე წმინდა ღვინო ეყოს. ამ სოფელში რამოდენიმე მამაკაცია ას წელს გადაცილებული, რამოდენიმე ასი წლის, ხუთი ოთხმოცდაათისა-ოთხუტმეტისა,—ოთხმოცისა ხომ ბევრია. სულ ყველა მუშაობს ყანაში და ვენახში. დაგარდნილი არც ერთი არ არის. მადა,

აზროვნება, ხალისი ყველას საუცხოვო აქვს; ზოგს კბილებიც კი არ აკლია.

რა შეძლებისა არიან ეს მოხუცები?

საშუალო შეძლებისა. მთელი თავისი ცხოვრება გაუტარებიათ სოფელში და შრომაში: მკიდენ, თოხნიდენ, ვენახს უვლიდენ, მთაში შეშაზე დადიოდენ.

მათი უმთავრესი საზრდოა მჭადი და ლობიო, ზოგჯერ შინაური ფრინველი ან ძროხეული.

მათი ჩვეულებრივი სასმელია თხელი საოჯახო ღვინო, რომელშიაც სიმაგრე მეტათ ნაკლებია.. ლოთობა მათ არ უყვართ, დათრობით კი დამთვრალან ახალგაზრდობასა და შუაკაცობაში წელიწადში რამდენჯერმე.

მსუქანი და ღიპიანი არც ერთი რა არის,— ყველა ხმელ-ხმელია.

ზამთარ-ზაფხულში აცვიათ ერთნაირი ტანისამოსი-ჩოხა, ახალუხი; მათი სადგომია ხის ან ქვის სახლი, სადაც ზამთარში საკმაოთა ცივა.

ცოლი ადრე შეურთავთ და შვილის შვილის შვილები ჰყავთ.

უმეტეს მათგანს შეუძლია ოცი-ოცდა ათი ვერსის ფეხით გავლა თავისუფლათ.

ღრმა მოხუცთა რიცხვით ჩემი სოფელი გამონაკლის არ წარმოადგენს; ზემო იმერეთის სოფლებში მე ყველგან შევხვედრივარ ამგვარ მოხუცებს.

ხელმწიფეთა გვარეულობის პირნი, რომელთაც ამ ქვეყნათ არაფერი არ აკლიათ, ძვირათ მიატანენ სამოცდა ათ წლამდე, კიდეც რომ მიატანონ, მოტეხილი, დაძაბუნებული არიან და გარეგნობით ყოველთვის უფრო ხნიერი გაჩვენებათ.

ჩვეულებრივ სოფლის მუშები კი, რომლებსაც ზედმეტი არაფერი არა აქვთ და ბევრი რამ აკლიათ, ას წელს ყოჩაღათ გადააბიჯებენ, დილიდან საღამომდე კიდევ ყანაში მუშაობენ და შვილისა შვილის შვილს ეჯიბრებიან!

მაშ რა ყოფილა საჭირო ჯანმრთელობისა და ხანგრძლივი სიცოცხლისათვის?—

1) **მცენარეული საჭმელი, აუჩქარებლათ და ზომიერათ ჭამა.**

2) წყალი და იჯრაზე წყალ-დვინო.

3) სუფთა ჭაერი და შრომა უმთავრესათ სუფთა ჰაერზე.

4) მზის ამოსვლისას ადგომა და ადრე დაწოლა.

სოფლის ას წლოვან მოხუცთა ცხოვრების შესწავლა ამას გვეუბნება.

ვერავითარი ჰენიოსი თავის შემოქმედებაში ბუნებას ვერ შეედრება.

ვერავითარი დიდი ექიმი ბუნებას ვერ დაედარება.

ევროპის დიდ ქალაქებში ადამიანის მიერ გამოგონილი ყოველგვარი საშუალება მოიპოვება სნეულებასთან საბრძოლ ველათ, მაგრამ ბევრ სნეულებას თვისი გამოგონილი საშუალებით ადამიანი ვერ არჩენს; წყალი, მზე ჰაერი კი არჩენს. მზე, ჰაერი და წყალი საუკეთესო ექიმები არიან, იყვენ და იქნებიან.

ჯანმრთელობას და დღეგრძელობის ისე არაფერი არ უწყობს ხელს, როგორც მზე ჭაერი და წყალი.

ის, ვინც მუდამ მზეზეა, სუფთა ჰაერზე მუშაობს და წყალში ბანაობს, ზომიერათა სჭამს უმთავრესათ მცენარეულ საჭმელსა და არა ლოთობს, რაც უნდა ღარიბი იყოს მაინც დიდხანს იცოცხლებს. ის, ვინც წყალსა და მზეს ემალება, დახშულ ჰაერში ცხოვრობს ძღება ხორცეულითა და ლოთობს, ან მაგარ სასმელებს ხშირათა სვამს ათასი მდიდარი იყოს, ღრმა სიბერეს მაინც ვერ ეღირსება.

ზღვას

(ნაწყვეტი)

ზღვაო მიჯნურო! როცა მოვკვდე
შენი მღერალი
შემიკარ კუბო ტალღებისა,
კუბო მოძრავი,
რომ გული ჩემი, დატვირთული
ქვეყნის სიმძიმით,
არ ჩაიძიროს,——მიმოჰქროდეს
როგორც ტლუ ნავი!

დუზე

ამოკრეფილი ტნობები

რომიდან ამბავი მოსულა: ელეონორა დუზე ფსიხიურად არის ავად, მორჩენის იმედი არა აქვთო.

ურიგო არ იქნება ჩვენც გავიხსენოთ ეს განთქმული და მართლაც დიდებული ქსახიობქალი.

ელეონორა ღატაკად არის დაბადებული, მაგრამ ოცდახუთი წლისა რომ გახდა, შეიძლება ითქვას, მთელი ქვეყნის მპყრობელი იყოვო. მისი უბრალო სახელი მთელს ცის ქვეშეთში ბევრად უფრო ბრწყინვალებდა, ვიდრე რომელიმე გვირგვინოსანისა.

ის დაიბადა გზაში, მატარებელში, პადუასა და ვენეციას შუა ოქტომბრის ერთ ნათელ დღეს 1859 წელს.

დედ-მამა იტალიელი მოხეტიალე ქსახიობნი იყვნენ, ღარიბ-ღატაკნი და, რაღა თქმა უნდა, იმიტომ ხვდა წილად ელეონორას ასეთ „უალაგო ალაგას“ დაბადება, მაგრამ ახლა, როდესაც მის სახელს დიდებულ არტისტ-ქალის შარავანდედი დასციმციმებს, თვით ეს მისი მატარებელში დაბადებაც ერთგვარ მშვენიერ სიმბოლოდ გვეჩვენება და ჩვენს თვალში მნიშვნელობა ეძლევა.

როდესაც მოსანათლავად ეკლესიაში ყუთით მიჰყავდათ პაწია დუზე (ასეთია თურმე იქაური ჩვეულება), გზაში საშხედრო დარაჯები შემოხვდათ. დარაჯთა უფროსმა ელეონორას მამა, ალექსანდრე დუზე აბატათ მიიღო, რადგან ალექსანდრეს, როგორც ქსახიობს, წვერ-ულვაში გაპარსული ჰქონდა და ეგონა ყუთი რომ მიაქვს შიგ წმინდა ზიარება არისო და დარაჯებს უბრძანა, რომ საშხედრო სალამი მიეცათ. ეს პაწია შემთხვევაც ცრუმორწმუნე იტალიელების თვალში დიდმნიშვნელოვანათ გახდა და ეი სინამდვილემ გაამართლა კიდეც მათი მოლოდინი.

ადვილი შესაძლებელია, რომ ამ შემთხვევამ მართლაც იქონია გავლენა ელეონორას ბედ-იღბალზე. მამა მისმა მართლაც ირწმუნა, რომ მისი შვილი თვით „განგებისაგან“ არის აღნიშნული და ამიტომაც სხვა ქსახიობთა შვილებისავით ელეონორას აღარ აწუხებდა „საშხიობო სიბრძნის“ შესწავლით.

ელეონორაც ძალიან ჯიუტი და თავის ნება ბავშვი იყო. ზოგჯერ როლიც-კი არ უნდოდა გაემეორებინა უფროსებს სწყინდათ, მაგრამ ყოველთვის მამა გაოესარჩლებოდა ხოლმე:

— არ გაბედოთ მაგის შეწუხება! ხომ ტყობთ გუნებაზე ვერ არის, Smara (ზმარა) სჭირს!..

— როლი უნდა ისწავლოს, რეპლიკები. მისი შესვლის დრო...

— არაფერია: საღამოთი რამპასთან მოვა გუნებაზე და ყოველივე გამოკეთდება...

Smara (ზმარა) ეს ერთგვარი სულიერი განწყობილობაა თურმე და ძალიან ჩამოგავს ინგლისურ, ლონდონის სპლინს. ამის მიზეზი ვეზეეციის ნისლია, მთელს ქალაქს რომ ჩამოეხურება ხოლმე. ადამიანის სულს მართლაც რომ ნისლისავით მსუბუქი თავდავიწყება მოებურება და აღარ ახსოვს წარსული, აღარ ანაღვლებს აწმყო.

ეტყობა ელეონორა დუზეს ეს Smara შემდეგშიაც ეწვეოდა ხოლმე. მაგალითად, როდესაც უკვე სახელ-განთქმული ქსახიობი გახდა და ცელქმა ბედმა ცხოვრების თანამგზავრათ არა ნაკლებ განთქმული იტალიელი მწერალი გაბრიელ დ,ანუნციო გამოუგზავნა, მაშინაც ხშირად Smara მოიპყრობდა ხოლმე. ზოგჯერ, ორი-სამი დღით, ხან და ხან თითო კვირითაც სრულიად მოულოდნელათ დასტოვებდა მის საყვარელს და სადღაც მიდიოდა. ხშირად არავინ იცოდა სად იყო.

— ბბა ეხლა კი უნდა გავქრეო! — ეტყოდა თურმე დ,ანუნციოს — თქვენ თავისუფალი დრო გექმნებათ, სამი-ოთხი დღე და შეგიძლიანთ ახალი პიესა დასწეროთ.

— უნდა გაქრეთ?.. როგორ?. სად? ეგ ხომ სიგიჟეა!

— იყოს თქვენც დასწერეთ რაიმე სიგიჟეო. — უპასუხებდა თურმე და ვერავითარი თხოვნა-ვედრება მას ვეღარ შეაკავებდა. იტყოდა და გაქრებოდა კიდეც.

—

ამ არტისტი ქალის სული მუდამ-ჟამ ისეთივე საიდუმლოებით იყო მოცული, როგორც ზღვის სიღრმე და ისეთივე აბობოქრებული დაუდგრომელი, როგორც თვით ზღვა. მას არასოდეს არ განუცდია დამშვიდებული, თანაბარი ბედნიერება. ის მუდამ მშფოთავი და მბორგავი იყო. ერთის უკიდურესობიდან მეორეზე გადადიოდა. მუდამ ეძიებდა. ის ხან მღელვარე ზღვის აქაფებულ ზვირთს წარმოადგენდა, ხან კიდევ ზამთარში დამზრალსა და მიყუჟულს ვარდის ბუჩქნარს. ყვავილები და ფოთლები ჩამცვენია, მაგრამ ფესვებსა და ღეროებში მაინც შენახულა სასიცოცხლო ძალა, რომელიც, გამოზაფხულდება თუ არა, მზის პირველ მცხუნვარე სხივებზე ხელახლა იფეთქს და უკეთესს და უმშვენიერესს ყვავილს გამოისხამს.

მისი განსაკუთრებული ხასიათის და სასცენო დიადი ტალანტის ბრალია, რომ მისი ცხოვრების უბრალო წვრილმანსაც კი ლეგენდარული ხასიათი აქვს. smara-ც, თვისება მისი სულისა, მისი ხშირი ჩამოშორება ადამიანთაგან, „გაქრობა„, მხედართა სალამი ნათლობაზე წაყვანის დროს, დაბადებაც მატარებელში, რომელიც მოძრაობის და ცხოვრების ძლიერების სიმბოლოთ უნდა წარმოვიდგინოთ, დასასრულ თვით დღე მისი დაბადებისა, ოქროს შემოდგომის ნათელი დღე, რომელიც აგრეთვე გამოსახულებაა ბუნების მომწიფების და იმავ დროს საზღვარია მიჯნა ცხელს ზაფხულს და თითქო გარინდულს, განსასვენებელის ზამთრისა,—ყოველივე ეს ხალხის თვალში განსაკუთრებული, განსხვავებული შეიქმნა და მართლაც „განგების“ ხელს მიაწერეს. ამიტომაც არის, რომ მისი სახელის გარშამოათასი ლეგენდა შეითხზა. მის მიერვე შთაგონებულ პოეტურ სიზმრებს ლიტერატურულს ფორმაში ანაკვთიერებდნენ და როგორც ყავილებს მას ფერხთა ქვეშ უფენდენ.

ერთ ასეთ ლეგენდაში ნათქვამია, რომ იყო ერთი ვინმე მ ახიობი, რომელიც მიატოვა მისმა საყვარელმა კოლომბინამ. მსახიობი შეევადრა მადონას მათი დასისათვის გამოეგზავნა კოლუმბინათ ისეთი მშვენიერი არსება, როგორიც თვით მადონა იყო. მსახიობი მადონას კვარცხლბეკთან წყალში ჩაიხრჩო, მაგრამ თვით მადონა კი ჩამოვიდა კვარცხლბეკიდან და სადღაც გაქრა; იმავ დროს დასში დიდებული არტისტი ქალი შემოვიდა.

როგორც ხედავთ ლეგენდა გრძნობიერია, მაგრამ დუზეს ხასიათის მთავარ შინაარსს სრულიად არ უდგება. სად მადონას სიმშვიდე და სათნოება და სად დუზეს დაუდგრომელი, მშფოთავი და მაძიებელი სული. ვინც შეთხზა ეს ლეგენდა, თვისი აღტაცება გამოსთქვა, მაგრამ დუზე სრულიად არას დაჰკარგავს თუ ყველა ამ შეთხზულსა და შეუთხზავ ლეგენდებს ჩამოვაშორებთ.

(დასასრული იქნება)

სუსტი მგზავრი

„ნუ შიშობ, კარგო, მომეცი ხელი,
ავიდეთ მაღლა ლამაზ მთაზედა;
გფიცავ, დამრჩები შენც მადლობელი
და უარს მეტყვი ჩამოსვლაზედა.
იქ მზე ანათებს სულ სხვანაირად,
იქ სიო ჩუმად კოცნის ფოთლებსა,
იქ მე აგიწერ კოხტა შაირათ
რა დარდი მაწვევს ქვეყნის მფლობელსა“.

* *

ასე მიწვევდი მთის მწვერვალისკენ
და მპირდებოდი ახალ ცხოვრებას,
და მეც, შემკრთალი. წამოველ შენსკენ,
რო ფრთა შესხმოდა ჩვენსა ოცნებას.
მაგრამ ვერ აველ... მიმტყუნა სულმა,
დავრჩი მარტოკა, ჩამოგრჩი გზაზე...
და დამარწმუნა სულმა უძლურმა,
რო მე მხდალი ვარ და სუსტი სხვაზე.

მარიჯან

ლევან გაფრნიშვილი

(გაგრძელება. იხ „თ. ც.“ № 40)

ტორმასოვმა ნახა, რომ სიწყნარის ზომებით შეუძლებელი იყო მოგონიერება ლევანისა, რომელიც სავსებით „მისწებებოდა სპარსელებს“, უბრძანა მოესპო ლევანთან ყოველივე მსგავლობა და მოდაპარაკება: „ეგ დიაცი არ არისო მის უდიდებულესობის კეთილმოდვაწეობისა მისადმი, მიატოვეთო ეგე თავის უბედო ბედის ამარა და ისეთ გარემოებაში ჩაუყენეთო, რომ მან თავისი ატეხილი თავი თვითონვე მომკვაროსო სინანულით ან-და სრულიად გამოეთხოვოსო მას. ხოლო ამისთვის-კი მოიპოებოსო სახსრები და ოქვენც გაქვთო ფული. მოგაგონებთო, რომ მოდალატეობისთვის ხელმწიფე იმპერატორს არა აქვსო არავითარი პატიება და შეწყნარება.

მაგრამ ლევანის წარმატებამ იმ ზომამდე მიიყვანა, რომ მის პირფვნების უგულებელ ყოფა შეუძლებელი შეიქმნა ოსეთში ამბოხი თან და თან გავრცელდა. ლევანის მომხრეთა რიცხვი გაიზარდა იმ ზომამდე, რომ ადარ დარჩა არავითარი იმედი მის (ლევანის) მოსასპობად მოსულიყო ვინმე თავზე ხელადებული კაცი. თვით ქართველის თავადები და აზნაურები, რომელთაც ეთხოვებოდათ გამოეყვანათ შეიარაღებული კაცები, რომ შემოკვწეოდნენო დაწყებულ ამბოხის ჩასაქრობად, თავიდგან იცილებდნენო ანას სხვა და სხვა მოიზეზებითო“. ოსთ შორის ყველაზე გავლენიან თავადებს—მაჩაბელებს ყველას, გარდა ერთის მხოლოდ სახლობისა, ეჭირათო ლევანის მხარე.

ლევანმა ისარგებლა თავის მრავალ მოსმენებით და იყლისის კასულს 1810 წელს წამოვიდა ცხინვალის ასალებად. აქ იდგა ერთი როტა ეგერებისა ზარბაზნით და აგრეთვე 250 კაცი ქართველთ მილიციისა. ოთხი დღის განმავლობაში იბრძოდნენ ცხინვალის დასაპყრობად. ტორმასოვმა ცხინვალელებს მოაშველა კიდევ ორი როტა ორის ზარბაზნით, „რათა შეეკავებინა უგზოკაცდობა ლევანისა“ და რათა არ შემოეფვა მეამბოხენი ქართველს. თან სწერდა ახვერდოვს, ხვარ წმუნდით, რომ ავზიელებს ვით კახელებულ წელნს, დაამორჩილებს მხოლოდ ლაგამი და არა სიწყნარე-შებრალების ზომები. ძალა და შიში უკეთესი სახსარია მათ დასამშვიდებლადო. მობეულებს აქ ვერ ჭფერობენო. მთავარმართებელი დაჩრანებდა ჩამოეხრნო მოდალატენი, კალეწვა

მეამბოხეთა სოფლები და ცხალად დაენახვებინა მათთვის, რომ „ვერავინ კალარჩება მართალს სასჯელს მოდალატეობისთვის, და რომ მიდგომიდობა ჩვენში არავითარი არ არისო“.

ახვერდოვმა ორი როტა მიუსია ლევანის „გრიგოლს“, დაამარცხა და კოფინტა, კარდა 80 მოკლულ კაცისა. ლევანი შეეფარა ლიახვის ხეობის სიღრმეს. რუსის ჯარმა კალაბუგა ყველა მეამბოხე სოფლები „ალასასჯელად და დასაშინებლად სხვებისა“. თავად მაჩაბელთა კვარის უმთავრესი მეამბოხენი, რომელნიც თავისას ივნებდნენ ლევანს და აძლევდნენ მას ყველა საჭირო, შეეპყრეს, ციხეში შეამწყვდიეს და სამართალში მისცეს, ხოლო მათი მამულები სახაზინოდ აიღეს. დავით ბატონიშვილის მასალებით (გვ. 92) ეს ასრე იყო: „ლევანმა მოსრულმა ლიახვსა ზედა, შემოიყვანა თვისნი და მოვიდა მახლობელ ცხინვალისა. სცნა რა ესე ახვერდოვმა, ქართველის დუბერნატორმა ალვიდა ცხინვალსა რუსთა მხედრობითა და ოდეს ვერ უძლო ოვსთა, დამაგრდა ციხესა ცხინვალისასა მაშინ ოვსთა მოაწყეს ალ მოიხრეს კარემანი ცხინვალისანი და თვით ცხინვალიცა და ეკუნ-იქცნენ. მაშინ ტორმასოვმა შეგზავნა ჯვრიეს ფრიადი მხედრობა რუსთა და მათ მოიწვიეს ჯვრიეი და ვერ არა დადგა ლეონ კოშკის და ალვიდა ნარას. ნახულთა სცეს პატიეი ვითარცა პატრონსა თვისსა. შემდგომად შეეპყრეს რუსთა მაჩაბელი ლუარსაბ და ბაადურ ბორტის შვილი. მაჩაბელი ლუარსაბ წარგზავნეს პეტერბურგად რუსეთსა შინა და ბაადური მოკვდა ციხესა ტფილისისა პეტერბურგად, და შთამოარეოვეს თავიანთი უმა და მამული და ალვეს სახელმწიფოდ, ვითარცა ჯავახიშვილის ესტატესი და თარხნიშვილთა ძეთა დიმიტრისათა“.

ამით დაშინებულმა ოსებმა თვითონვე იწყეს გზავნა კაცებისა გენერალ-მაიორ ახვერდოვთან წინადადებით, რომ მოსცემენ ლევანს თუ პატიებულ იქმნებიან იმისთვის, რაც ჩადინეს. ახვერდოვმა ალუთქვა არა თუ მარტო პატიება, არამედ ჯილდოც თუ ვინმე მათგან მოგვრიდა შეპყრობილ ლევანს. დიახვის ხეობა სამუდამოდ დამშვიდებულად ჩასთვალა გენერალმა და ჯარები ცხინვალში გაიწვია. მაგრამ გამოჩნდა, რომ ყველა ეს იყო მხოლოდ თვალთმაქცობა ოსთა

შრდ

ვ. ჯანაშვილი

უბედური დედები

(სურათი)

ციოდა...

შემოდგომის მოუსვენარი, სუსხიანი ქარი ჰქროდა. სადგურზე შეკრებილ ოსმალოტყვეებს, რომლებიც მატარებელს ელოდნენ, სიცივისაგან აკანკალებდა, ერთი-მეორეს ახუტებდა, ისედაც დამწუხრებულთ თავის მარად მწუხარე ჩალმას აფარებდა.

დრტვინავდა ეს სულგანაბული ხალხი და ჩუმი ზუზუნით იოხებდა გულს, და ნაღვლიან თვალს მიმოავლებდა ირგვლივ მიდამოს; ვინ უწყის ვის რა გრძნობა აღეძროდა და რა სულიერ ღელვას არ განიცდიდა? ის ნაღვლიანი გამოხედვა მრავალ ტანჯვა-წვალებისაგან ჩაცვივნულ თვალთაგან, რომლებიც თავის უმეტყველებით მრავალს ამბობდენ, საკმარისი იყო მათი ვაების დასამტკიცებლად; შემდეგ შეხედვა მცველ ჯარის-კაცთა, რომელნიც დამპყრობლობითი მედიდური გამომეტყველებით შეუბღვერდენ და ტყვეთაც შიშის ჟრუანტელი გადურბენდა – ჰქმნიდა რაღაც გულის მომწყვლელს მდგომარეობას. უსიცოცხლო დღე უმზეო-ღრუბლიანი თავის ბეჭედს ზედ ასვამდა.

აქ ტყვე ოსმალო ჯარის-კაცთა შორის ნახავდით მშვიდობიან მცხოვრებლებსაც: მოხუცთ, მცირეწლოვანთ, და ქალებსაც, რომელთაც მახლობლებთან ერთად დაეკარგათ სახლ-კარი და მამულ-დედული.

ჰკენესოდენ დაავადებულნი, საპყარნი, მშიერ-მწყურვალნი და არავინ უსმენდა...

ამ უბედურთა ქარავანს გამოჰყოფოდა ერთი მოხუცი დედაკაცი, რკინის მოაჯირთან ბაქანზე მომაღლო ქვაზე ჩამომჯდარიყო და მოსთქვამდა ჩუმად, სტიროდა უცრემლოდ თავის ბედ-უკუღმართ ხვედრს, სტიროდა დაღუპულ საშობლოს, რომლისკენაც იქ, შორს რამდენიმე მთის იქით იცქირებოდენ მისი უიმედო თვალები. . იყურებოდა, სწყდებოდა გული და ბოლმა მოწოლილი, ძველ კონკებში გამოხვეული სცემდა თავს მოაჯირს... ვინ იცის ელირსებოდა კვლავ ნახვა ოდესმე აღმზრდელი მხრის, იმ მხრის, სადაც პირველად სცნო ქვეყანა, ქვეყანა მასაზრდოვებელი და სიყვარული პირველი თავის სულეიმანთან... ეს იყო ოდესღაც, ბრავლ წლის წინად. შემდეგ შვილები... ეჰ, ახლა ხომ, ვით, სიზმარი ისე მიჰქრიან ლანდები წარსულისა!.. მაგრამ მაინც სანატრელია, სანუკვარი ტკბილი წარსული... მისჩერებოდა ცის დასავალს, სადაც შავ ღრუბლებს მიერეკებოდა ქარი საზარი და არ უნდოდა მოეშორებინა გულის ყური. უკვდებოდა გული მის განშორებით და უნებლიეთ სწყდებოდა ცრემლები და დანაოჭებულ სახის ღარებში მიიკლაკნებოდა დაბლა.., ძნელია ოდესაც შორდები შენს ქვეყანას და არ იცი რა მოგელის და სად აღმოგხდება სული

ასეთ წუთებს განიცდიდა ნაჯი,—ასე ეძახდნენ მას

დარაჯები ელაზღანდარავეობდენ და ისინიც, თუმცა არ უნდოდათ, არაფრად ეყაიშებოდათ მათი ხუმრობა, მაგრამ მაინც გაუღიმებდენ ხოლმე. რადგანაც ამაში ჰხედავდენ კრძალვას დარაჯებისადმი, რომელთა ხელშიც იყო მათი ბედი...

მაყურებელი ხალხი-კი ხარხარებდა ამ სურათების ხილვით...

ერთბაშად ხალხი გაიპო; მათ შორის წივილ-კივილით, ლოყების ხოკვით შემოიჭრა თმებ-გაწეწილი სახე-ამღვრეული, ვიღაც დედაკაცი. გაიწია ტყვეებისკენ და წყევა-კრულვით, ვითარცა ვეფხვი, ეცა ნაჯის. შეანჯღრია, მოსწია თმებით და დაუწყო ცემა:

— წყეულნო! რა გინდათ ჩვენგან, რა გინდათ საქრისტიანო ქვეყნისგან. მომეცით ჩემი შვილი, ჩემი ვანო! დაგაღრჩობ!!! – ჰყვიროდა უცნობი დედაკაცი და ასისხლიანებდა ფეხზე ძლივს ამდგარს, წელში საცოდავად მოხრილს და მოულოდნელ თავდაცვისაგან გაშტერებულს ნაჯის, რომელსაც ვერ მიეცა თავისთვის ანგარიში, თუ რა ჰსურდა უცნობს მისგან და უაზროდ თვალებს ნაბავდა.. თითქოს არ ჰსურსო ნაჯის ეს ყოფა, თითქოს ჰსურს სიზმრად, მიიჩნიოს

იგიო, მაგრამ არა! სინამდვილე უდგა წინ. ვერ-კი მიმხვდარიყო რაში იყო საქმე. მას არ ესმოდა მისთვის უცხო ენაზე საუბარი, მაგრამ კი გრძნობდა, რომ მის წინაშე იდგა ისეთივე უბედური დედა, როგორც იყო თითონ, და ცრემლებსაც,—ამ ერთად-ერთს მაოხებელს გულისას—გზა მიეცათ... ბრბო-კი ხარხარებდა ახალი სურათის ხილვით...

— შენ და შენიანებმა მოჰკლეს ჩემი ერთად-ერთი შვილი! ტიალნო! მხეცნო!..— გაჰკიოდა კვლავ უცნობი მუქარით.

და მუშტებ ამაღლებული, ძლივს გაჰყარეს დარაჯებმა.

— ჩემო დაო.—დაიწყო ნაჯიმ აკანკალებულის ხმით,— მე ისეთივე დედა ვარ, როგორიც შენ. ჩვენმა შვილებმა გაუგმირეს ერთმანეთს გული! რა ვქნათ, რა უყოთ! შვილი მომიკლეს, ქმარი დამირჩეს, ასული გამიუპატიურეს; კარ-მიდამო გადამიბუგეს, სამშობლო ამიოხრეს და ისე მძლავრად ჩასცეს მახვილი, რომ ვინ ალმოიცნოს ეღირსება მას ოდესმე ჭრილობის გამრთელება და მდინარე სისხლის შეწყვეტა?.. ასეთია ომის შედეგი. რა აქვს ჩვენისთანა ბეჩავთ სამტრო?—არაფე-

რი! ნუ თუ მსოფლიოს გადაჭიმული კალთა არ აკმაყოფილებს უმაძღარ ადამიანის თვალს! ვხოცთ ერთმანეთს. რათა, რისთვის? არავინ განიცდის ომის საშინელებას დასაბამიდან დასასრულამდის ისე ტანჯვით, როგორც დედეა. უბრძანეს ჩვენს შვილებს და ისინიც შეაკვდნენ... დაფიქრდი დაო: ჩვენა ვართ მოვალენი, შვილს აღზრდისას შთაუნერგოთ სიყვარული კაცთადმი და მხოლოდ სიყვარული...

ეს უთხრა ნაჯიმ და გაუწოდა მთრთოლვარე ხელი. უცნობი-კი, ამ რამდენიმე წუთის წინად ძუ ვეფხვად გადაქცეული, ეხლა ამ სიტყვების ნათარგმანობით მიხვდა ყველაფერს... ბოლმა-თვალთაგან სინანულის ცრემლებმა უწყეს დენა და გულ-შემოყრილი უსიტყვოდ გადაეშვა ნაჯის მკლავზე...

დედებს ესმით ერთი-მეორის... დედების გულნი ჰგრძნობენ ყველაფერს...

შორს მატარებლის ლანდი გამოჩნდა; მატარებელის ქშენა გაისმა და მისმა კივილმა შესძრა უპით ბანის მომცემი მთა-ბარი...

ს. ერთაწმინდელი

იძულებულნი

გაგრძელება იხ. „თ. და ც.“ № 41

III

მსახური ფერნანდო მარტო.

ფერნანდო (გამოჩნდება კიბეზე. მოდის ნელ-ნელა საფეხურებზე, ჯოხზე დაყრდნობილი და თან ოხრავს განუწყვეტლივ). ოჰ... ოჰ... ოჰ!... განა ასე შეიძლება!?... თავიანთი გაუფთხილებლობით ისეთ დიდსა და საშინელ უბედურებას დაიტეხავენ თავს, რომ თავის დაღწევა ველარ შეეძლოთ. ოჰ-ოჰ ოჰ (იღებს მდუმარედ ტრიბუნის უჯრიდამ ბევრ ცვილის სანთლებს და ამაგრებს შანდლებში, რომლებიც ჰკიდიან ზოგი ჭერში და ზოგიც კედლებზე. ანთებს, მდუმარედ ფიქრსა და მოგონებებში გართული, მხოლოდ ხან-გამოშვებით წარმოსთქვამს სიტყვებს ნაწყვეტ-ნაწყვეტ, თავს იქნევს თითქოს პასუხს აძლევს იმ მოგონებათა და ფიქრსა, რომელნიც აღძრულან მის გულშიო). ოჰ-ოჰ-ოჰ! კაი დრო დაგვიდგა... ებრაელს აღარ ძალუძს ებრაელი იყოს... იძულებულია იმალებოდეს გამოქვაბულებში, რომ შეეძლოს თავისი ღმერთის სამსახური... ოჰ-ოჰ-ოჰ! (იქნევს თავს. პაუზა). საშინელი, საშინელი საქმეა! ოჰ-ოჰ-ოჰ! ჩემი თვალით ვუყურე ამას... გადააგდეს ცეცხლში, შუა გულ ცეცხლში, ალში, იმანკი... მხოლოდ „ისმინე ისრაელო“ დაიძახა და შემდეგ დადუმდა. შემდეგ დაჰბერა ქარმა და მისი მტვერი მიმოაბნია მინდორ-ველად... ცოტა მტვრის აღებაც კი ვერ მოვასწარი, რომ სახსოვრად მქონოდა.. ჩემი დანარჩენი შვილებიც დაიწვენ იმასავით, სამთავე, ყველა შეპყრობილ იქმნა... და მე ჩემის თვალით უყურე ყველას სიკვდილს, ოჰ-ოჰ-ოჰ!... ისინიც მიყურებდენ მე და თავიანთი თვალებით მანიშნებდენ გავყოლოდი უკან, შუა გულ ცეცხლში, თავიანთი ყურებით მტუქსავდენ, რომ ვცრუობდი

და ვატყუებდი ღმერთს და ჩვენს სარწმუნოებას... დიახ... მტუქსავდენ და მიწვევდენ შუაგულ ცეცხლში, შუა-გულ ალში, ოჰ-ოჰ-ოჰ!.. (პაუზა. განაგრძობს ნელ-ნელა სანთლების ანთებას). მწირი... მწირი... ჩემი ცოლი უკვე მოკვდა... ჩემი მახლობელნიც გარდაიცვალენ, სუყველა, სუყველა... უმეტესი ნაწილი ქურუმთა ხელით იქმენ დახოცილნი... დაიხოცენ, ყველა დაიხოცა... მხოლოდ მე-ღა დავრჩი... მარტოდ... მწირი, მწირი... ოჰ — ოჰ-ოჰ! (პაუზა) რა იქმნება ჩემი ბოლო? (საქმეს უცბად თავს ანებებს, დგება დაბადების კიდობნის წინ, შლის ხელებს მის მიმართ და წარმოსთქვამს ხვეწნა-ვედრებით სავსე ხმით). მეუფეო ქვეყნისა! რა იქმნება დასასრულ ჩემდა? ნუ თუ კიდევ მოვესწრები იმ დროს, იმ ნეტარ დროს, რომ ყველა ებრაელს შეეძლოს იყოს ებრაელი აშკარად?,. ნუ თუ მეღირსება სულ მცირედ მაინც, რომ ვპოვო სამარე ჩემ წინაპართა შორის და დავიმარხო ებრაელთა სამარეზე? მეუფეო ყოველთა! რა იქმნება დასასრულ ჩემდა? (დგას მდუმარედ, ხელებ-გაშლილი თითქო პასუხს ელისო, პაუზა).

(გამოქვაბულის ზემო ოთახიდან მოისმის ფეხის ხმაურობა, ამავე დროს იწყებენ სანადიმოთ მოწვეული სტუმრები თითო-თითოდ ჩამოსვლას გამოქვაბულში)

IV

ფერნანდო, დონ-იმანუელ. შემდეგ **დონ-ენრიკაც, დონ-ლაპეს, დონ-მენდეს**, და სხვა ძალათ გადარჯულებულნი ებრაელნი).

დონ იმანუელ (ჩამოდის გამოქვაბულში. შიიხედ—მოიხედავს აქეთ იქით და დაინახავს ფერნანდოს, რომელიც სდგას ხელებ გაშლილი დაბადების კიდობნის წინ). შენა ხარ, ფერნანდო? ლოცულობ? დიახ, ბევრი ლოცვა გვმართებს ახლა უფლის წინ, რომ გვაკმაროს ესოდენი უბედურება და შეგვიბრალოს.

ფერნ. (მიიხედავს იმისკენ და სალამს აძლევს). ოჰ, ოჰ, ოჰ! ..

დონ-იმან იმედი გქონდეს ღვთისა, ფერნანდო! ნუ მიეცემი სასოწარკვეთილებას. კვალად დაგვიდგება ნეტარნი დრონი, და კვალად ვიქმნებით ბედნიერნი! ახლა-კი, ფერნანდო, აბა ჩქარა მორჩი შენ საქმეს,, აანთე ყველა სანთლები, ამ ცოტა ხანში ყველა მოწვეულნი შეიკრიბებიან.

ფერნ. დიახ, უკვე დაგვიანებულიც არის საცაა თორმეტი საათი შესრულდება; მაგრამ მე კი უკვე მოვრჩი საქმეს, ოჰ ოჰ-ოჰ!... ორისამი სანთელი ღა მაქვს ასანთები.

(გამოქვაბულში გამოჩნდებიან ახალი სტუმრები).

დონ-იმან. (ერთ-ერთ მოსულთაგანს). შენა ხარ, დონ ენრიკაც? შენა ხარ „ღვთისნიერი მდიდარი“, როგორც მადრიდის ხალხი გიწოდებს, რომელმაც სანაქებო სახელი გაითქვი მთელ ქვეყანაზე, შენის აუარებელი ძღვნებით და საჩუქრებით საყდრებისა და ინკვიზიციის მიმართ, რათა ეჭვი არ ჰქონოდათ შენზე, თუ ებრაელი ხარ.—როგორა ხარ, დონ ენრიკაც? რომელ სალოცავს შესწირე დღეს?...

დონ. ენრ. მშვიდობა მოგცეს ღმერთმა, მოხუცო რაბბი! ჩემის ურიცხვი შეწირულებით თვალებს უბრმავებ და უხვევ ხარბ გაუმაძღარ სამღვდელოებას, რათა არ იხილონ და არ იცოდენ ის საქმენი, რომელნიც ჩვენთვის უმჯობესია

დონ-იმან. მაინც ეგ კარგი არ არის. შენ, ერთგული ებრაელი და მცველი უფლის სჯულისა, ამდიდრებ და ძალასა ჰმატებ ინკვიზიციას, რომ შეეძლოს სდევნოს შენივე მოძმენი.

დონ-ენრ. (ოხვრით) მართალია, კარგი არ არის ეს საქმე; მაგრამ მეტი რა ღონე გვაქვს? ჩვენი ნება ხომ არ არის?

დონ-იმან. (ღრმად ოხრავს). შენ მართალს ამბობ, ჩემო ენრიკაც, ჩვენ ტყვეთა ვართ, უფალმა მოგვიტევოს ყველა ეს ჩვენი ცოდვა. (მიიხედავს მეორესკენ) შენც აქა ხარ დონ-ლაპეს? სჩანს სახელმწიფო დარბაზში იმდენი საქმე აღარა ყოფილა და იმდენი დრო გიხელთებია, რომ ბარმიცვის დღესასწაულში მონაწილეობა მიიღო. აბა, მიამბე, ჩემო ძვირფასო ლაპეს, ახალი რა ისმის სახელმწიფო დარბაზში? შენ ხომ ერთი ქალაქის წარჩინებულთაგანი ხარ, და ყველა ამბავი და საიდუმლოება, რაც კი სახელმწიფო დარბაზში მოხდება, არ დაგემალება. ნუ თუ არაფერი საკეთილო ამბავი არ ისმის ჩვენთვის, სალოდ ვ

ებრაელებისათვის? იქნებ ახლა სხვა ნიავმა იწყო ქროლა სახელმწიფო დარბაზში, ავაზაკ ტორკვემადის ზეგავლენა მოისპო და ჩვენს მოძმეთ კვალად ეძლევათ უფლება, თავიანთს ქვეყნებს მიუბრუნდენ და იცხოვრონ თავისუფლად, თავიანთი სარწმუნოებით?

დონ ლაპეს. (ოხრავს). ჩემდა საუბედუროთ, ჩვენო წინამძღოლო და მოხუცო რაბბი, ჯერ კიდევ არ ძალმიძს გახარო მაგისთანა კეთილი ამბავი, არამედ წინააღმდეგ ჩვენდა ყველას საუბედუროთ, როგორც მე ვყურობ და ვრწმუნდები, წყეული ავაზაკი ტორკვემადას—დაიფშხვრას იმის ძვლები და ამოსწყდეს იმისი სახსენებელი—ზეგავლენა უფრო ძლიერდება და ძალას იხვეჭს. თვით მეფე, რომელიც პირველში უარს ჰყოფდა ინკვიზიციის დაარსებას, ახლა რაკი შეხედა იმ ურიცხვს ფულს, რომელიც შეაქვს ინკვიზიციას სახელმწიფო ხაზინაში შეპყრობილ და წამებულ ებრაელთა საცხოვრებლიდან, ახლა ის უფრო და უფრო ხელს უმართავს ცბიერ სამღვდელოებას, და აღარასფერი იმედი უნდა გვქონდეს, რომ იმან კიდევ ჩვენ საკეთილოდ გული მოიბრუნოს. და ჩვენც, რომელნიც ვართ მცირე რიცხოვანი ებრაელნი საიდუმლოთ და ვღირსენით მის კარის კაცად გავმხდარიყავით, იმდენად თვალსაჩინო ზედგავლენას ვერ ვიჩენთ; უპირველეს ყოვლისა, იმიტომ რომ ჩვენ მცირედნი ვართ, და ორი წილი მმართველნი და ვეზირნი ჩვენს წინააღმდეგ არიან. და მეორეც ის, რომ კიდეც შეგვეძლებოდა რამე ზეგავლენა მოგვეხდინა მათზე, იძულებულნი ვართ მოვკუმოთ პირი და ჩავიკლათ ხმა, რათა იჭვი არ მოიტანონ, თუ ჩვენ ებრაელები ვართ.

დონ-იმან. ვესავოთ უფალს, და იმედი გვქონდეს, ეს უბედური მდგომარეობა დიდხანს არ გასტანს, ბოლოს-ბოლოს მეფე გულს მოიბრუნებს ჩვენდა საკეთილოდ, და მაშინ ტორკვემადასთან ავაზაკებს აღარ ძალუძთ გვავნონ რამე.

ყველა შეკრებილნი. (ოხრავენ და აღაპყრობენ თვალებს მაღლა) მართალია, მხოლოდ ღვთისგან უნდა მოველოდეთ შემწეობას და მხოლოთ იმას ძალუძს ჩვენი ხსნა.

დონ იმან. (უცებ მიმართავს ერთ ერთ სტუმართაგანს დიმიდიო). შენც აქ ხარ, დონ-მენდეს? იქნებ ჩვენ დასაზვერად მოხველი, გსურს გაგვცე და ჩვენი თავი ინკვიზიციას ჩაუგდო ხელში. შენ ხომ ინკვიზიციის ერთი საიდუმლო ჯაშუშთაგანი ხარ!

ნ. ელიაშვილი—ბენ დავიდ

(გაგრძელება იქნება)

მგზავრის დღიურიდან

კარსან-არმაზი

„სხვა საქართველო სად არის,
რომელი კუთხე ქვეყნისა..
გრ. ორბელიანი

თიბათვის 26 და მკათათვის 3, ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების თაოსნობით შესდგა ექსკურსია კარსან-არმაზში.

არმაზისაკენ მიმავალი სამი გზაა: პირველი კარსანით, რომელიც მდებარეობს მცხეთის სამხრეთ-დასავლეთისკენ 4-5 ვერსის მანძილზე; ეს გზა იწყება მცხეთის სადგურიდან თბილისისაკენ რკინის გზის ლიანდაგით ერთ ვერსიან „ბუდკასა" რომ გასცილდებით; მერე უნდა შეუხვიოთ მარჯვნივ ბილიკით. მეორე გზა მიდის ამავე სადგურიდან მარჯვნივ ასიოდე ნაბიჯის შემდეგ, პირდაპირ გორაზედ ასვლით, რომელიც ტყითაა დაფარული. მესამე გზა კი იწყება სადგურიდან რომ წახვალთ ლიანდაგით აღმოსავლეთისკენ და გასცილდებით აგრეთვე ერთ ვერსიან „ბუდკას"—მიადგებით მდინარე არმაზის წყალს, რომელსაც აჰყვებით და მიხვალთ არმაზს.

პირველი ექსკურსია გაემგზავრა კარსანით, სადაც ვინახულეთ მაგნიტიური სადგური, რომლის დანიშნულება წმინდა მეცნიერულია და მნიშვნელობა აქვს საზღვაოსნო და სამიწისმზომლო საქმეში. ახსნა-განმარტებას გვაძლევდა სადგურის გამგის თანაშემწე ბ. გ. ძე ძალიან საინტერესოდაა მოწყობილი ეს სადგური თავისი მანქანებით. მეტადრე გასაოცარი ის არის, რომ ერთი განყოფილებათაგანი მოთავსებულია მთლად ირგვლივ მიწაში, სახურავიც კი მიწური აქვს და, მიუხედავად ამისა, ნატამალ სინესტეს ვერ ნახავთ შიგ; პირიქით ერთგვარი თანაბარი სითბო-სიცხოველეა ამ განყოფილებაში ზამთარ-ზაფხულს! ეს სადგური თურმე ერთად-ერთია მთელ კავკასიაში.

მერე აქედან გაუდექით დასავლეთისაკენ ბილიკით და ნელ ნელა მივაღწიეთ წმ. ნინოს სამლოცველოს მართლაც და შესაფერისი და ერთი უმაღლესი ადგილთაგანი აურჩევიათ ჩვენ წინაპრებს; ეს მაღალი მთა ბატონობს როგორც თვისი მდებარეობით, აგრეთვე თვალ წარმტაცი და მომხიბლავი თვისი არე-მარეთი! აქ დღეს პატარა ეკლესიაა, სადაც ორი რუსი ბერი დამკვიდრებულა!! აქედან გზა ბილიკით ჩადის არმაზის მონასტრისაკენ.

მეორე ექსკურსია გაემგზავრა არმაზის წყლისკენ ხეობით; ეს ორი უკანასკნელი გზა უფრო მოკლეა ვიდრე პირველი, არმაზი საქართველოს პირველი დედა ქალაქი იყო და მდებარეობდა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მთაზე, მტკვრის პირდაპირ. ბატონიშვილი ვახუშტი მის შესახებ შემდეგს მოგვითხრობს:

„აქა არს ციხე, რომელი აღაშენა—ქართლოს, დაუწოდა სახელი თვისი; არაოდეს შემუსრვილი მტერთაგან, რომელი დადგა ყროუს მოსვლასაცა. ამ ადგილის გამო ეწოდა ამ ქვაყანათა ქართლი. ა მეფემან ფარნაოზ აღმართა აქა კერპი არმაზ, სახელისა თვისისა და მისგამო ეწოდა არმაზი ადგილსა ამას, და დაეფლა ქართლოს აქავე, და ფარნაოზცა წინაშე კერპისა თვისისა“... (საქ. გეოგ. გვ. 76).

მემატიანე მზის ღმერთს არმაზს ასე აგვიწერს (შატბ კრებ. X საუკ. გვ. 21):

„აჰა დგა კაცი ერთი (არმაზი) სპილენძისა, ტანსა ეცვა ჯაჭვი ოქროისა და ჩაფხუტი ოქროისა, სამხარნი ესხნეს ფრცხილი და ბივრიტი. ხელსა აქვნდა ხმალი ლესული, რომელი ბრწყინვიდა და იქცეოდა ხელსა მისსა“. მემატიანე განაგრძნობს: ღმერთნი დიდთა ნაყოფთა მომცემელნი და სოფლის მპყრობელნი, მზის მომფენელნი და წვიმისა მომცემელნი, ქვეყნისა ნაყოფთა გამზრდელნი—ქართლისანი არმაზ და ზადენ, ყოვლისა დაფარულისა გამომძიებელნი, და ძუელნი ღმერთნი მამათა ჩუენთანი გაცი და გა“ (იქვე გვ. № 37)

არამაზის მთაზე თურმე სამებას შეადგენდნენ არამაზი, გაცი და გა. იდა მარჯულ (მარჯვენით) მისა (არმაზის) დგა კერპი ოქროისა და სახელი მისი გაცი და მარცხლ (მარცხნით) მისა კერპი ვერცხლისა და სახელი მისი გა„(იქვე გვ. 21) ბ. მოსე ჯანაშვილი თვის შენიშვნაში (ვახუშტ. საქ. გეოგ. № 167 გვ. 87.) სხვათა შორის ამბობს: „მცხოვრებნი ყოველწლივ 6 ს აგვისტოს ადიოდნენ არმაზს ანუ ქართლს, საცა აღმართულ იყვნენ ღმერთნი არმაზი, გაცი დაგაიმი, და თაყვანს სცემდნენ ამ სალოცავებს“...

არმაზის საგანის მდებარეობა ლამაზია: იგი მშვენიერ ტყეშია გაშენებული, მის გვერდზე კი ჩამორაკრაკებს პატარა კეკლუცი მდინარე არმაზის წყალი. საგანე შესდგება პატარა ეკლესიისაგან, რომლის კარებზედაც ერთი მოზრდილი ქვაა ჩატანებული ზედწარწერით, რომელიც ეკუთვნის მე XII საუკ. ქრ შემდეგ ვიდაცა დედაკაცს სახელად ხათუნ: უფალნია და აღუშენების არმაზის ეკვდერი, განუახლების საკურთხეველი და სხვა. ეს ამბავი მომხდარა საქართველოს კათალიკოსის ნიკოლოზის დროს. აქვე არის ნანგრევები ძველი ეკლესიებისა, რომლების მხოლოდ კედლები და გამოიყურებიან დაღვრემილად. ამა 20-25 წლის წინეთ აქაურობა გავერანებული და უპატრონოდ მიტოვებული იყო, მაგრამ გამოჩნდა მადლიანი და მშრომელი ადამიანი, რომელსაც სარწმუნოებასთან ერთად გულში ღრმად უღვივოდა სამშობლოს სიყვარული, რომელმაც არაფრიდან აღადგინა საგანე ნაწილობრივ მაინც და დღესაც კვლავ იმედიანად განაგრძობს ამ მხრივ მუშაობას! მხოლოდ ერთი დარდი და ვარამი აწუხებს მამა მირიანს, რომელსაც ყველას შესჩივლებს ხოლმე: იქნებ ვინმე ღვთისნიერი გამოჩნდეს და რამე მიშველოსო. მისი დარდი გამოუწვევია შემდეგ გარემოებას: ამ საგანეს (სკითს) არა ჰქონია დამტკიცებული საკუთრებად საჭირო მამული, რის გამოც ფრთა ვერ გაუშლია და ვერ მოღონიერებულა. ახლა მ. მირიანი ცდილობს ეს ერთი უპირველესი და უმნიშვნელოვანესი ისტორიული ადგილი, სადაც პირველად დაირწა აკვანი ჩვენი ერისა, ქართლოსის ჩამომავალთა, შესაფერ დონეზე იყოს მოწყობილი და გამშვენიერებული. მერე იცით კიდევ რისთვის უნდა მას, რომ ეს საგანე გადაკეთდეს მონასტრად და გაძლიერდეს ქონებრივად? მისთვის რომ ამ სახელმწიფო მამულზე (რომლითაც ახლა არავინა სარგებლობს) დაარსოს ეროვნული სამეურნეო სასწავლებელი! ქართველ საზოგადოებას იგი სთხოვს დახმარებას ამ სასარგებლო საქმეში და, იმედია, ვისიც ჯერ არს, მიაქცევს ამას სათანადო ყურადღებას. ეს საგანე ახლა მხოლოდ მ. მირიანის ამარაა, რომელსაც ერთი მოხუცი მორჩილი ჰყავს

ამ საგანიდან რომ დაადგეთ, არმაზის წყალს და აღმოსავლეთით გაიაროთ ერთი ვერსი, წა-

წუდებით არმაზის ციხის ნანგრევთ, რომელნიც დღესაც მედიდურად გამოიყურებიან; მას მდებარეობა საუკეთესო აქვს, ირგვლივ შემოზღუდული თვალმიუწვდენ მთებით და უფსკრულებითა.

არა მგონია კიდევ სადმე სხვა ციხეს ჰქონდეს აგეთი ადგილ-მდებარეობა!!

ამ ციხეზე მ. მირიანის მიერ აღმართულია რკინის ჯვარი. (აქვე გადავიღეთ სურათები მ. მირიანთან ერთად). *)

რომ არმაზი ძლიერი ციხე-ქალაქი ყოფილა, ეს სჩანს სახალხო ლექსიდანაც:

„არმაზის ციხე-ქალაქო, ძველადგან გამოხრებულო,
ხალხითა ერთხელ სავსეო, ძლიერო ყოვლთგან ქებულო,
შენ ვიდამ გნახოს ნაშენი მტერთ მახვილით მოსრულო.

ერმალოზ კახი

*) აქ აღსანიშნავია კიდევ ერთი რამ: ამ ციხის ძირში, აღმოსავლეთ სამხრეთით ნახავთ უზარ-მაზარ ერთ მთლიან ქვა-გორას, რომელიც 1000 ფუთზე მეტი იქნება და უნდა ალემატებოდეს ჩემ-მიერ აქამდისინ ნახულ ამისთანა ქვა-გოლიათებს, როგორც მაგალ. მინახავს ბორჯომში, სოფ. ყვარელში-თურუჯის მიერ მოტაცებული და სხვ. ე. კ.

წერილი რედაქციის მიმართ

დიდათ პატივცემულო ქ-ნო რედაქტორო!

გაახლებთ რა ხარკოვის ქართველ სტუდენტთა შორის შეგროვილ 17 მ. უმორჩილესათ გთხოვთ, გადასცეთ საყვარელ მსახიობს ვ. შალიკაშვილს და უსურვოთ მრავალს წელს კარგათ ყოფნა და სრულიტანის სიმთელე ქართული სცენის საკეთილდღეოთ.

შემომწირველთა სია: პროფესორმა პ. რ. ივ. პეიშვილმა 5 მან. სტუდენტებმა ლად. კალოიანმა 2 მან. ამაშუკელმ, ჯანდიერმა, სავ კიკაბიძემ, ალ. ბაქრაძემ, ლიზა ერქომაიშვილის ასულმა და ასია გაბაშვილის ასულმა თითო მანეთი; მ. და ვ. გურგენიძეებმა 1 მან. და 50 კაპ. ვალ. ინასარიძემ, შაქ. მიროტაძემ და რ ყ. ნიჟარაძემ ათ-ათი შაური, მიხეილ ნიკოლეიშვილმა ერთი მანეთი

სტუდ გ. ამაშუკელ

წვრილი ამბები

✦ **ქართ. დრამ. დასს** სახალხო სახლში ქართულმა სექციამ თვეში ორი დღე დაუთმო.

✦ **ვალ გუნიას** სამკურნალოდ, სხვათაშორის, მოწვეულ იქმნა ექიმი ქათონიანი, რომელმაც ექ. ივ. გომართელთან ერთად ავადმყოფი მსახიობი დიდის ყურადღებით გასინჯა. ორივე ექიმმა, ხანგრძლივ თათბირის შემდეგ, ურთიერთთან შეთანხმებით გამოუწერეს წამალი. ექ. ივ. გომართელი კვლავ ბეჯითად დაიარება ავადმყოფთან და იმედი აქვს ფეხზე წამოაყენოს. ავადმყოფთან მრავალი თანამგრძნობელი მოდის სანახავად. გასულ კვირას რკ.-გზის მუშათა წარმომადგენელნიც იყვნენ. ავადმყოფს სხვა და სხვა დაწესებულებათ ნივთიერი დახმარება აღმოუჩინეს.

✦ **ბ. ქოხს დრამ. წრის** თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა ცნობილი მრეწველი აკაკი ხოშტარია, წევრებად ნიკ. ჯაყელი და ქუცნა ამირეჯიბი. ახალ გამგეობას განუზრახავს წლევანდელი სეზონი ყოველის მხრივ უკეთ მოაწყოს. გასულ კვირას შალვა დადიანი თბილისს ჩამოვიდა დამსახურებულ და ცნობილ მსახიობი მთელ სეზონში მისაწვევად.

✦ **ქალთა სამედიცინო ფაკულტეტი** თბილისის დედათა უმაღლეს კურსებთან დააფუძნეს ღვინობისთვის 2. ფაკულტეტის კურთხევას სადღესასწაულო იერი ჰქონდა. ფაკულტეტი ხუთ წლიანია-

საეროგო ბიუროგ თავის მუდმივ წევრად მიიწვია ჩვენი ჟურნალის თანამშრომელი ცნობილი მწერალი ივ. გომართელი და სთოხვა ერობის შესახებ ხალხში გასავრცელებელი წიგნაკი დასწეროს. ეს წიგნაკი დაბეჭდება ოცი ათასი ხალხში დასარიგებლად.

ბათუმში სცენის მოყვარეთა ჯგუფმა ენკენისთვის 27 დაიწყო ზამთრის სეზონი ივ. გომართლის „ქოხი"-თ. ხალხი ბლომათ დაესწრო. წარმოდგენამ მშვენივრათ ჩაიარა. აღტაცებით შეეგებენ ვალ. შალიკაშვილს მეორე წარმოდგენა—დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება"—და „ადვოკატთან". მზადდება: „სამშობლო" და „მსხვერპლი" ვ. აბაშიძის საგასტროლოდ—რეჟისორებათ მოწვეულნი არიან ივ. ბარველი და ვალ. შალიკაშვილი. დასში იმყოფებიან მსახიობქალნი ან. კვთელი და ო. სინაურიძე.

ქართული საეკლესიო გალობისა და დიაკვნობის კურსებს აფუძნებს სამების მონასტერში (ს. ხაშმთან) მწირი გიორგი ეპიტაშვილი. ასწავლიან სამედავითნოს, რუსულ-ქართულ წერაკითხვასა და სამშობლოს საერო-საეკლესიო ისტორიას. აქ სწავლა დასრულებულნი დიაკვნებად გამწესდებიან.

მაღარს სამკითხველოს ივ. მარც. დოდაშვილმა მთელის წლით გაუწერა ჟურ. „თეატრი და ცხოერება", ნ ი ჭრელაშვილმა—შესწირა 10 მ. და აღუთქვა მთელი წლით „საქართველო" გაუწეროს ის. გ. ალხანაშვილმა—10 მ. წიგნების შესაძენად.

ავლაბრის თეატრი პალატაში „ხვალ დაძ-მა"

უცხო სიტყვათ ლექსიკონი მოკლე ხანში გამოვა.

რედაქციისგან.

პატივცემულ ხელის მოწერთ ვსთხოვთ, რომელთაც ჟურნალის კუთვნილი ფული სრულად არ შემოუტანიათ, დროით გამოგვიგზავნონ (Тифлисъ Ред. »Театри да Цховреба« Іос Имедашвили) ანუ რედაქციაში შემოიტანონ („სორაპანი"ს სტამბაში, მადათოვის კუნძულზე, № 1 იოს. იმედაშვილთან).

ყველა იმ შემომწირველთ, რომელთაც ჩვენს სახელზე ფული გამოუგზავნიათ რომელიმე საკულტურო—საზოგადო ანუ კერძო პირისათვის,—ვსთხოვთ გვაცნობონ როდის რა გამოუგზავნიათ.

„**უცხო სიტყვათა ლექსიკონის**" აგენტებს ვსთხოვთ დროით გამოგვიგზავნონ შეგროვილი ფული ხელისმოწერთა სრული სახელგვარით და აგრედვე წიგნზე ღმოსაბეჭდი ასოების ალნიშვნით, ხოლო ვისაც ბარათები შერჩენილი აქვს—დაგვიბრუნონ.

ონსერვატორიის როგორ ვამზადებ **სპრიპკაზე ილია ოქურეულ**ი მისამართი წერილით: Орховскій пер. д. 7

„განათლება" ჟურნალ-გაზეთების კანტორა

ქ. თბილისში ოლღას ქუჩა № 6.

ეგზავნება აგენტებს: „თეატრი და ცხოვრება", „ოან. ასრი", „ეშ. მთარსხია", „საქართველო", „Тифлисскій Листокъ", „Русское Слово", „ჭორაზონი", „ეკლესიის კალენდარი" და სს და სხ. ქართული წიგნები. ფული წარიდგები უნდა გამოგზავნილ შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почтовый ящикъ № 96, Г. Тавартхиладзе.

ახალი კლუბი

1 ივნისის პროგ 9 - 16 ღვინ.

ოთხშაბათი — რუსული ოპერეტა

სამშაბათი — სიმფონიური კონც.

ოთხშაბ. სინემატოგრაფი.

ხუთშაბ. — ქართ. წარმ. (უფას); საზანდარი

პარასკ. — სინემატოგრაფი; მუსიკა.

შაბ. — სიმფონიური კონ.

კვირა — მუსიკა; სინემატ.

დასაწყისი: კონცერტებისა საღამ. 9 საათ.. წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. $8^1/_2$ საათ.

სეზონსასვლელი ფასი ჩვეულებრივია, მხოლო. სამშაბათს და შაბათს იხდიან: მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმ.) 65 კ. მამაკაცები 1-05 კ.

„**თეატრი და ცხოვრების**" კანტორა

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

Дозволено Военной Цензурою **სტამბა „სორაპანი"**